




ყვარლის


ბამოლის 1932 წლიდან

წასი 60 თეთრი



დამწუხრებული ყვარელი ეგვიპტელები ღვთის მძიარ მოვლენილ მოძღვარს!

დაუფერებელია წარმოდგენა იმისა, რომ ჩვენს რიგებში აღარ არის ყველასათვის უძვირფასესი, სამშობლოს უსაზღვროდ დიდი პატრიოტი, საუკეთესო მეოჯახე და სულიერი მოძღვარი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის დეკანოზი, მამა ბენიამინ ჩიხორლიშვილი.



მაც გლოვობენ და ზღვა ცრემლით აცილებენ ზეციურ საქართველოში.

ბენიამინი სულით ხორცამდე იყო გაჯერებული სამშობლოს სიყვარულით, ზეალბიანი დღის იმედით, უკეთესი მომავლის რწმენით, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა და დამთლიანება უნდა უზრუნველყო. სწორედ ამ რწმენაში გაატარა მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. როგორი გაჭირვება და რანაირი ხელმოკლეობა არ გადაუტანია მას და მის ოჯახს, მაგრამ არასდროს უღალატია თავისი მრწამსისთვის, ერთი უკადრისი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. იგი სპეტაკი სულის, უანგარო და ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი იყო, რომლის ბადალიც ერთეულეში თუ დღიდან ამ ქვეყანაზე.

1996 წლის 9 ივნისს, ბოდიშის დედათა მონასტერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ ეკლესიაში ერთეული მსახურებისთვის მამო ბენიამინი აიყვანა დეკანოზის ხარისხში და დააჯილდოვა ოქროსფერი ჯვრით.

2002 წელს ნეკრესელმა მიტროპოლიტმა სერგიმ მოძღვარი დააჯილდოვა გამგებნული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით.

2007 წლის 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადებდან 170 წლისთავის აღსანიშნავ ილიაობის დღესასწაულზე მამა ბენიამინს მიენიჭა ყვარლის საპატრიარქო მოქალაქის ნოდება.

რეოში მამო ბენიამინი ხაზგასმით აღნიშნავს – „სულიერების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის მსახურება, ჭაჭაყაძიანთ საგვარეულო ტაძარში, სწორედ მე მომანდეს ბატონმა ილი ბეროშვილმა, ჩემმა სულიერმა აღმზრდელმა, ჩემმა უფროსმა მეგობარმა და ზურაბ ჭაჭაყაძემ, როცა ამოიკითხეს ჩემს თვალეში სიყვარული, სულის სიკეთე და რწმენა. ყველაზე მძიმე ადური მარგუნა უფალმა ჩვენი ქვეყნის თავ-



ვისუფლებების დიდ ბასტიონზე, ღმერთისა და რწმენის საკურთხეველზე დასადებად. მას შემდეგ სამათულ წელზე მეტი გავიდა და ვცდილობ, იმედი არ გავუცრუო ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს, ერთგულად ვემსახურო უფალს და ჩემს ყვარულელებს და მინდა ცოტათი მაინც მივეცვაფასო წმინდა ილია მართლის თხზულებებში აღწერილი იდეალურ მოძღვარს“.

მამა ბენიამინი ჭეშმარიტად იდეალური მოძღვარი იყო ყვარულელებისთვის, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრების უმეტესი დრო ყვარულელებისთვის მსახურებას შესწირა და ამიტომაც უყვარდათ ყვარულელებს თავისი მოძღვარი, ამიტომ-

2010 წელს გამოვიდა მის მიერ შედგენილი წმინდა ილია მართლის სავედრებელი პარაკლისი.

2013 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „ვპოვე ტაძარი“, ამავე წელს გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

2014 წლის 30 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა მოძღვარი დააჯილდოვა მეორე გამგებნული ჯვრით.

2015 წელს გამოვიდა მამო ბენიამინის ლექსების კრებული „ცა ჩემი სულის მისამართია“.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

დიდად ვწუხვართ ნეკრესის ეპარქიის მღვდელმსახურის, დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის მოულოდნელი გარდაცვალების გამო, რაც დიდი დანაკლისია მისი მრევლისთვის, ნეკრესის ეპარქიისა და ჩვენი ეკლესიისთვის.

იგი 1990 წელს ეკურთხა მღვდლად და ყოველთვის თავდადებით, კრძალვითა და სიყვარულით ემსახურებოდა უფალს და მშობლიურ მხარეს.

ალბათ სიმბოლურია, რომ მამა ბენიამინი სინასა და რაითის უდაბნოში სარკინოზთაგან მოწყვეტილი წმინდა ბენიამინის სახელს ატარებდა და მისი ამქვეყნიდან გასვლაც სინას მთაზე მოხდა.

ვუთანაგრძობთ განსვენებულის ოჯახს, ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მრევლს, სადაც წინამძღვრად მსახურობდა კურთხევის დღიდან და ყველა იმ ადამიანს ვისთვისაც ძვირფასი იყო ეს პიროვნება.

შეფთხოვთ ღმერთს, საგანგაშა მართალთა გაწესების დეკანოზ ბენიამინის სული, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მაღლი და მისთვის ღირსის ძალა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე

ღრმა მწუხარებას გამოთქვამ, ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის გარდაცვალების გამო.
დეკანოზი ბენიამინი იყო პოეტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, რამდენიმე პოეტური და პუბლიცისტური კრებულის ავტორი, ყვარლის საპატრიარქო მოქალაქე.
ვიზიარებ ამ მწუხარებას და ვუსამძიმრებ ოჯახს, ნათესავებს, ტაძრის მრევლსა და სრულიად ყვარლის საზოგადოებას.
ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზუბტაშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწერალთა კავშირის წევრის, პოეტის, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობს ოჯახს და მის სულიერ შვილებს.
მაცვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, ბალათურ არაბული, სოსო სიგუა, თემურ ჩალაბაშვილი, ზაალ ბოტკოველი, მანანა გორგიშვილი


ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და მარიამ ჩიხორლიშვილებს მამის ბენიამინ ჩიხორლიშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ყვარელი“-ს რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზ ბენიამინ (ბაჟან) ჩიხორლიშვილი და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.

პოეზიული უსამძიმრებს ჩვენი ძვირფასი თანავტორის, (ლექსის ავანი) საუკეთესო მოძღვარის, დეკანოზ ბენიამინ ჩიხორლიშვილის ოჯახს და მის სულიერ შვილებს მისი გარდაცვალების გამო.

ღვთიერებისგან ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ბენიამინ ჩიხორლიშვილმა.
მამა ბენიამინი ღირსული ადამიანი და სასულიერო პირია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყვარლის სულიერი და კულტურული ცხოვრების განვითარებაში. დაჯილდოებულია მიტრის და ორი ჯვრის ტარების უფლებით.
მამა ბენიამინის გარდაცვალების გამო, გამოხატავთ მწუხარებას, ვუსამძიმრებთ ოჯახს, ნეკრესის ეპარქიას, მრევლს და ყვარულს.
შეგსთხოვთ უფალს აცხონოს ახლადმსვენებული დეკანოზი ბენიამინის სული.
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია





მადლოზა წარუშლელი კვალისთვის ყვარლის ისტორიაში, მადლოზა სათნოებისთვის, თავდადებისთვის...

მამაო, პირველ ყოვლისა მადლოზას ვწერ... უფალს, რომ მქონდა ბედნიერება...

ლმაც ილიას ნატურფალზე შედგა სკოლის დამთავრების შემდეგ ფეხი და იქ სულ სხვა...

პოეზია. სიცოცხლეშივე უზომოდ დაფასებული, ჭეშმარიტი ქრისტიანის ჯვარს...

შეშინდა, მამაო!

(ლია წერილი მამა ბენიამინს)
ეს ლექსი შარშან თქვენს იუბილეზე, ექსპრომტად მოგიძღვინეთ...

... მჭირდება იმიტომ, რომ ხშირად ვერ დავდივარ წინა-ლოცვაზე, ზედმინევიანი ვერ ვასრულებ მარხვის წესებს...

ივოლდა იოსების

პოეზიის მოტრფიალზე, ლექსის გრძნობით ნამკითხველო... სცენაზე ცეცხლს ატრიალებ, და ხმით გაგაქვს შენი ღელო!

პრისკაცობის სიმბოლო და ეტალონი

დიდი და მადლიანი ისტორია აქვს ილიას სამშობლოს, ჩვენს ყვარულს, ამ ისტორიას კიდევ ერთი დიდი ადამიანი...

... ვიხედოვნივ, რომ ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებული კვლავ ილოცავს ჩვეული გულმოდგინებით...



არიან ბავშვებით სუფთა გულისა და თვალის მქონე ადამიანები, რომლებიც ნუთისოფლისეული განსაცდელის მი...

გულითადობით და სიყვარულით გამოირჩეოდა, რომ თავისი დატვირთვით მრავალა...

ნათლისმცემლის ტაძარში ფუსფუსებდა, მრევლს მოძღვრავდა და ამხნევებდა. მახსენდება, როგორ აზიარა 2006 წელს გვიან...



მამა ბენიამინს

დილა ხარობს ნათლისმცემლის ტაძარს ადგას ამინი, იმიტომ, რომ დღეს აქ სწირავს მამა ბენიამინი.

ვილოდება უფლისაგან გარდამოსულ წყალობას. და აკურთხებს ერის შვილებს...

დაუღალავი შრომით, უდიდესი სიყვარულით იმსახურეთ უფლისა და მოყვანის წინაშე...

ძალიან მიმიე დილა გათენდა უთქვენოდ მამაო, ბევრი აზრი მიტრიალებს თავში, მაგრამ თავს ვერ ვუყრი, ხან დაჩაგრულად...

ლიან დიდი იმედი და დიდი სულიერი ნათელი გვყავდით, როგორც მრევლს, ისე მთელ ყვარულს, მამაო. დაუღალავი შრომით...

ბადრი (ბახვა) ხარაზშილი, იონე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის სტიქაროსანი



